12 338

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა



ГРУЗИНСКАЯ СОВЕТСКАЯ СОЦИАЛИСТИЧЕСКАЯ РЕСПУБЛИКА

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის

ბიულეტენი № 1

БЮЛЛЕТЕНЬ № 1

ПЕРВОЙ СЕССИИ ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ СОВЕТСКОЙ СОЦИАЛИСТИЧЕСКОЙ РЕСПУБЛИКИ

საღამოს სხდომა 1938 წლ. 8 ივლისს
Вечернее заседание 8 июля 1938 г.

Библиотека-Музей имени Акад. И. Гришашвили Академия наук

ქ. თბილისი 1938 г. ТБИЛИСИ

პირველი სხდომა

7 საათსა და 15 წუთზე დარბაზში შემოდიან საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს წევრები (დარბაზში გაისმის ტაში).

მ. ი. ჯაში: ამხანაგო დეპუტატებო! წინადადება შემომაქვს საქართველოს ს. ს. რ. უმაღლეს საბჭოს პირველი სესიის გახსნა დაევალოს უმაღლესი საბჭოს უხნიერეს დეპუტატს ამხ. **ფ. ე. მახარაძეს** (ხანგრძლივი ტაში).

დეპუტატ ამხ. ფ. მახარაძის შესავალი სიტყვა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე

ამხანაგებო, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებო!

1938 წ. 12 ივნისი შევა საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში, როგორც უდიდესი საყოველთაო-სახალხო დღესასწაული. ამ დღეს ქართველმა ხალხმა და საქართველოში მცხოვრებმა ყველა ხალხებმა მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე აირჩიეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.

ლენინ-სტალინის პარტიის პოლიტიკამ, დიდი სტალინის ბრძნულმა ხელმძღვანელობამ უზრუნველჰყო ახალი ბრწყინვალე გამარჯვება: საქართველოს უმაღლეს საბჭოს არჩევნებში ამომრჩევლებმა მონაწილეობა მიიღეს თითქმის ასი პროცენტით, რომლებმაც ერთსულოვნად მისცეს ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს.

მთელი ხალხი, დიდი თუ პატარა, მოხუცი, თუ ახალგაზრდა — ყველანი გრძნობდნენ, რომ ეს არ იყო ჩვეულებრივი არჩევნები, არამედ ეს იყო საყოველთაო-სახალხო დღესასწაული, ეს იყო იმ ფაქტის დადასტურება, რომ ჩვენი ხალხი სამუდამოდ განთავისუფლებულია მყვლეფელ და მჩაგვრელ კლასებისაგან, მემამულეების

და კაპიტალისტების უღლისაგან, და ისევე, როგორც 12 დეკემბერს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს, ყველა თავის გულში ატარებდა უღრმეს სიყვარულს იმ ადამიანისადმი, რომლის გენიალურ ხელმძღვანელობასთან დაკავშირებულია ყველა ჩვენი უდიდესი გამარჯვებები, ხალხთა აღორძინება, საბჭოთა ქვეყნების აყვავება, ბედნიერი ცხოვრების უზრუნველყოფა — დიდი სტალინისადმი. **(მქუხარე ტაში, დარბაზიდან მოისმის შეძახილები: „გაუმარჯოს დიდ სტალინს!“ ყველანი ფეხზე დგებიან. ოვაცია რამდენიმე წუთს გრძელდება).** ამხანაგი სტალინი არჩეულია პირველ დეპუტატად როგორც საბჭოთა კავშირის უმაღლეს საბჭოში, ისე ყველა მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებში. **(ხანგრძლივი ტაში. შეძახილები: „გაუმარჯოს დიდ სტალინს!“. „ვაშა!“).** ქართველ ხალხს წილად ხვდა უდიდესი პატივი პირველად მიეღო დიდი სტალინის თანხმობა კენჭი ეყარა საქართველოს უმაღლეს საბჭოში, და ამ უდიდესი ბედნიერების გრძნობა ქართველმა ხალხმა გამოხატა იმ აღფრთოვანებაში, რომლითაც მან აირჩია ამხანაგი სტალინი თავის პირველ დეპუტატად.

ამხანაგებო! უმაღლესი საბჭოს არჩევნები გადაიქცა ქართველი ხალხის და საქართველოში მცხოვრებ ყველა ხალხთა პოლიტიკურ-მორალური მთლიანობის გრანდიოზულ დემონსტრაციად, მთელი ჩვენი ხალხის უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების გამომხატველ დემონსტრაციად კომუნისტური პარტიისა, საბჭოთა ხელისუფლებისა და ამხანაგ სტალინისადმი. **(მქუხარე ტაში. მთელი დარბაზის ოვაცია).**

თავის უმაღლეს საბჭოს არჩევნებს საქართველოს მშრომელები შეხვდნენ უდიდესი წარმატებებით სოციალისტური მეურნეობის და კულტურის ყველა დარგში, სტახანოვური მოძრაობის შემდგომი გაშლით, პოლიტიკური აქტიობის უდიდესი აღმავლობით.

ამხანაგებო, ქართველმა ხალხმა ათასოვანი წლების მანძილზე მრავალი ტანჯვა-ვაება და უბედურება გამოიარა. ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის დახმარებით, ქართველი ხალხი ისე, როგორც ყოფილი მეფის რუსეთის ყველა დაჩაგრული ხალხი, მონობისა და ჩაგვრისაგან განთავისუფლდა და ლენინ-სტალინის ნაციონალური პოლიტიკის საფუძველზე დაადგა ეკონომიური და კულტურული აყვავების გზას.

თავიანთ განთავისუფლებას, თავიანთ ბედნიერებას საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი უნდა უმადლოდეს ლენინ-სტალინის

დიად პარტიას, დიდი სტალინის ბრძნულ ხელმძღვანელობას.
(მთელი დარბაზის ხანგრძლივი ოვაციები).

იმ დროს, როცა უკვდავი ლენინი აყალიბებდა რუსეთის პირველ რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს, ახალგაზრდა სტალინი ქმნიდა და რაზმავდა საქართველოში და კავკასიაში მშრომელთა მასებს თვითმპყრობელობის, ბურჟუაზიულ-მემამულურ წყობილების დასამხობად. ლენინის და სტალინის მიერ აღმართულმა დიადმა დროშამ შემოიკრიბა მშრომელთა მილიონები, რომლებმაც ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით ოქტომბრის დიდ სოციალისტურ რევოლუციაში მოიპოვეს ბრწყინვალე გამარჯვება, დაამხეს რა ექსპლოატატორული წყობილება.

ქართველი ხალხის საზიზღარმა გამცემლებმა — საქართველოს მენშევიკებმა — დასავლეთ ევროპის იმპერიალისტების დახმარებით მოახერხეს ძალაუფლების ხელში ჩაგდება, დიადი რუსი ხალხისაგან ქართველი ხალხის მოწყვეტა და საქართველოს გადაქცევა დასავლეთ ევროპის იმპერიალისტების გაჩანაგებულ კოლონიად.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ქართველმა ხალხმა საბჭოთა კავშირის ხალხთა დიად ოჯახში, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, დიადი რუსი ხალხის დახმარებით შეჰქმნა და განავითარა სოციალისტური ინდუსტრია, სოფლის მეურნეობა და კულტურა.

სტალინურმა კონსტიტუციამ აღნუსხა ყველა ის უდიდესი მიღწევები, რომლებიც მოპოვებულია საბჭოთა კავშირის მიერ, ყველა საბჭოთა ხალხის მიერ დიდი სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით.

გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანა — საბჭოთა კავშირი, მიუვალი სალი კლდესავით დგას კაპიტალიზმის გარემოცვაში და შუქურასავით უნათებს გზას მსოფლიოს ყველა მშრომელს გამარჯვებისაკენ.

ბედნიერი და თავისუფალი საბჭოთა ხალხი დღითი-დღე მიდის წინ ახალ-ახალ გამარჯვებისაკენ, ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი გაფურჩქვნისაკენ, მატერიალური და კულტურული დონის ახალი აღმავლობისაკენ. კაპიტალისტურ ქვეყნებში კი მძვინვარებს კრიზისი, მეურნეობა და კულტურა განიცდის არნახულ დეგრადაციას, სულ უფრო და უფრო ღატაკდება ხალხთა ფართო მასები.

სოციალიზმის დაუძინებელი მტრები — ტროცკისტულ-ბუხარინული, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ჯაშუშები, დივერსანტები

და მავნებლები ცდილობდნენ ჩაეშალათ ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობა და კვლავ დაედგათ ხალხის კისერზე მონობისა და ჩაგვრის უღელი. ხალხის საზიზღარი მტრები ანგარიშში მოსტყუვდნენ. დიდი სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხის მიერ მხილებული და განადგურებულია ხალხის მტრების ძირითადი ბუდეები.

ჩვენ ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ ამხანაგ სტალინის მითითება რევოლუციური სიფხიზლის ამაღლების შესახებ, რათა ვამხილოთ და საბოლოოდ აღმოვფხვრათ ხალხის განადგურებული მტრების ნაბოლარები.

ჩვენ ვიცით, რომ ბურჟუაზიულ-ფაშისტური სახელმწიფოები ამზადებენ დანაშაულებრივ ომს ჩვენი სამშობლოს წინააღმდეგ. მაგრამ უძლეველია ჩვენი სახელოვანი მუშურ-გლეხური წითელი არმია და წითელი საზღვაო-საჰაერო ფლოტი — უძლეველია ჩვენი საბჭოთა ხალხი, რომელსაც წინ მიუძღვის კაცობრიობის უდიდესი გენიოსი — ჩვენი სტალინი. **(ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).** გმირი ქართველი ხალხი მოწინავე რიგებში იქნება სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის ბრძოლაში, თუ თავგასული მტერი გაბედავს თავს დაეხსას ჩვენს დიად ქვეყანას.

ამხანაგო დეპუტატებო! თავის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიას საბჭოთა საქართველო დიდი მიღწევებით ხვდება სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში. ამ წარმატებებს ქართველმა ხალხმა მიაღწია პარტიის სახელოვანი შვილის ამხ. ლ. ბერიას ხელმძღვანელობით, **(მჭუხარე ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან. შეძახილები ადგილიდან: „გაუმარჯოს ამხან. ლავრენტი ბერიას!“ „ვაშა!“),** რომელმაც უზრუნველჰყო სტალინური ცენტრალური კომიტეტის დირექტივებისა და დიდი სტალინის მითითებათა განუხრელად განხორციელება. ამხ. ლ. ბერიას ხელმძღვანელობას უნდა ვუმადლოდეთ ჩვენ იმას, რომ ქართველმა ხალხმა გაანადგურა საზიზღარი მტრები, წამოაყენა ლენინ-სტალინის დიადი საქმისათვის თავდადებული მრავალრიცხოვანი ახალი ხელმძღვანელი კადრები სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე. ლენინ-სტალინის ნაციონალური პოლიტიკის განუხრელად გატარების საფუძველზე, ამხ. ლ. ბერიას ხელმძღვანელობით განმტკიცებულია ამიერკავკასიის ხალხთა ურღვევი სტალინური მეგობრობა. **(მჭუხარე ტაში. შეძახილები: „გაუმარჯოს ხალხთა სტალინურ მეგობრობას!“).**

ამხანაგო დეპუტატებო! ეჭვს გარეშეა, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სესია ჩაატარებს თავის მუშაობას ღირსეულად, სტალინური კონსტიტუციის პრინციპებთან სრული შეფარდებით. არასოდეს არ უნდა დაგვავიწყდეს დიდი სტალინის ბრძნული მითითება, რომ საბჭოთა დეპუტატი — ხალხის მსახურია და ის ვალდებულია განუხრელად განახორციელოს ხალხის ნების-ყოფა, რომ საბჭოთა დეპუტატი ვალდებულია ყოველთვის იდგეს თავის ამოცანათა სიმაღლეზე და იყვეს ლენინ-სტალინის ტიპის პოლიტიკური მოღვაწე. **(მქუხარე ტაში).**

ქართველი ხალხის პირველი სოციალისტური პარლამენტი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით პირნათლად შეასრულებს თავის მოვალეობას ხალხის წინაშე და უზრუნველჰყოფს საბჭოთა საქართველოს ახალ-ახალ გამარჯვებებს სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში **(ხანგრძლივი ტაში).**

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ხალხთა სტალინურ მეგობრობას!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიად პარტიას!

გაუმარჯოს სტალინურ კონსტიტუციას!

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ დიდ სტალინს!

(ხანგრძლივი ტაში. მთელი დარბაზი ფეხზე დგება. შეძახილები ადგილიდან: „გაუმარჯოს მშობლიურ სტალინს!" „ვაშა!" „გაუმარჯოს სოციალიზმის გამარჯვებათა ორგანიზატორს, საამური ცხოვრების შემომქმედს, საბჭოთა ხალხის დიდ, ბრძენ ბელადს ამხანაგ სტალინს! ვაშა!").

ამხანაგებო, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის 31 მუხლის ძალით, საჭიროა არჩეულ იქნას საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

ვის აქვს წინადადება ამის შესახებ?

მ. დ. ჩუბინიძე: გთხოვთ სიტყვას.

ფ. ე. მახარაძე: ინებეთ.

მ. დ. ჩუბინიძე: ამხანაგო დეპუტატებო! ქ. თბილისის, აფხაზეთის, აჭარის, ქ. ქუთაისის და გურჯაანის რაიონის დეპუტატთა ჯგუფის სახელით წინადადება შემომაქვს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნას საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **ო. დ. კოჭლამაზაშვილი** — საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი.

ფ. ე. მახარაძე: ვის აქვს კიდევ წინადადება?

დ. ა. დავითაძე — გთხოვთ სიტყვას.

ფ. ე. მახარაძე: ინებეთ.

დ. ა. დავითაძე. ამხანაგო დეპუტატებო! აჭარის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის, ლანჩხუთისა და სილნაღის რაიონების დეპუტატთა ჯგუფის სახელით წინადადება შემომაქვს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნას ამხანაგი შაშიკაშვილი ნევრასტან რეჯების ასული, აჭარელი ექიმი ქალი, ქობულეთის რაიონიდან, რომელიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობს სოციალისტურ მშენებლობაში და რომელიც უთუოდ გაამართლებს ხალხის ნდობას საქართველოს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის პოსტზე **(ტაში).**

ფ. ე. მახარაძე: არის წინადადება დეპუტატი ჩუბინიძისა, რომ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩეული იქნას ამხ. **კოჭლამაზაშვილი.** ამ საკითხის შესახებ აქვს ვინმეს განცხადება თუ არა?

ს. ნ. სანაკოევი. გთხოვთ სიტყვას.

ფ. ე. მახარაძე. სიტყვა ეკუთვნის ამხანაგ სანაკოევს.

ს. ნ. სანაკოევი. ამხანაგო დეპუტატებო! მე მხარს ვუჭერ დეპუტატ ამხანაგ ჩუბინიძის წინადადებას ავირჩიოთ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული შვილი, რომელმაც თავისი ენერგიული მუშაობით დაამტკიცა ხალხისადმი ერთგულება, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ამხანაგი იოსებ დიმიტრის-ძე კოჭლამაზაშვილი. **(ტაში).**

ფ. ე. მახარაძე. ამხანაგებო, აქვს თუ არა კიდევ ვისმეს წინადადება ამ საკითხის შესახებ? (ადგილებიდან: „არა“) მაშასადამე, მე კენჭს ვუყრი ამხ. **კოჭლამაზაშვილის** კანდიდატურას.

ვინ არის მომხრე, რომ ამხანაგი იოსებ დიმიტრის-ძე **კოჭლამაზაშვილი** არჩეულ იქნას საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ? გთხოვთ ასწიოთ ხელი. დასწიეთ. ვინ არის ამ წინადადების წინააღმდეგი? ასეთებს მე ვერ ვხედავ **(ტაში).** თავი ვინ შეიკავა? არავინ.

მაშასადამე, ამხანაგი **კოჭლამაზაშვილი** არჩეულია ერთხმად **(ხანგრძლივი ტაში.** დეპუტატი **კოჭლამაზაშვილი** იკავებს თავმჯდომარის ადგილს).

ი. დ. კოჭლამაზაშვილი — საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-31 მუხლის თანახმად, უნდა ავირჩიოთ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ორი მოადგილე. აქ ამხანაგმა დეპუტატმა დავითაძემ შემოიტანა უკვე წინადადება ერთი მოადგილის შესახებ. ხომ არავის აქვს წინადადება მეორე კანდიდატურის შესახებ?

მ. კ. დელბა — გთხოვთ სიტყვას.

ი. დ. კოჭლამაზაშვილი: სიტყვა ეკუთვნის დეპუტატ **დელბას.**

მ. კ. დელბა — ამხანაგებო, აფხაზეთის, ზუგდიდისა და ჭიათურის რაიონის დეპუტატთა ჯგუფის სახელით წინადადება შემომაქვს ავირჩიოთ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ ამხ. გიორგი გუჯის-ძე **ჯგუბურია.**

ამხანაგებო! ამხ. ჯგუბურია ჩვენი პარტიის წევრია 1920 წლიდან, იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა სამოქალაქო ომში 1919—20 წლებში. ეწეოდა ბოლშევიკურ არალეგალურ მუშაობას. პარტიულსა და საბჭოთა სამუშაოზე ამხანაგმა ჯგუბურიამ საუკეთესო მხრივ გამოიჩინა თავი, აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სამეურნეო ცხოვრებაში. 1928 და 1929 წლებში ამხ. ჯგუბურია ერთი პირველთაგანი აწყობს აფხაზეთის გალის რაიონის სოფ. ოქუმში ლენინის სახელობის კოლმეურნეობას. 1931 წლიდან დაწყებული ამხ. ჯგუბურია არის ამ დიდი და შესანიშნავი მილიონერი კოლმეურნეობის უცვლელი თავმჯდომარე. მე ვფიქრობ, ამხანაგებო, რომ თქმული საკმაოა იმისათვის, რათა დარწმუნებული ვიყოთ იმაში, რომ ამხ. ჯგუბურია ღირსეული კანდიდატია ამ ფრიად პასუხსაგებ სახელმწიფო პოსტზე — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის პოსტზე, და იგი უეჭველად გაამართლებს სესიის ნდობას. **(ტაში).**

ი. დ. კოჭლამაზაშვილი. ხომ არა სურს რომელიმე დეპუტატს კიდევ დაასახელოს კანდიდატი თავმჯდომარის მოადგილედ? არავინ არის? მაშასადამე, მე კენჭს ვუყრი დასახელებულ კანდიდატებს იმ რიგით, როგორც დასახელებული იყვნენ.

ვინ არის მომხრე, რომ ამხანაგი ნ. რ. შაშიკაშვილი არჩეულ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ? გთხოვთ ასწიოთ ხელი. გთხოვთ დაუშვათ. წინააღმდეგი ვინ არის? თავი ვინ შეიკავა? არავინ. მაშასადამე, ამხანაგი **ნ. რ. შაშიკაშვილი** არჩეულია ერთხმად უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ **(ტაში).**

ვინ არის მომხრე, რომ ამხანაგი **გ. გ. ჯგუბურია** არჩეული იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგი-

ლედ გთხოვთ ასწიოთ ხელი. გთხოვთ დაუშვათ. ვინ არის წინააღმდეგი? თავი ვინ შეიკავა? არავინ. **(ტაში).** მაშასადამე, ამხანაგი **გ. გ. ჯგუბურია** არჩეულია უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ **(ტაში).**

დეპუტატებს ნ. რ. შაშიკაშვილს და გ. გ. ჯგუბურიას ვთხოვ დაიკავონ ადგილი თავმჯდომარის მაგიდასთან (დეპუტატები ნ. რ. შაშიკაშვილი და გ. გ. ჯგუბურია თავიანთ ადგილს იკავებენ **(ტაში).**

ი. დ. კოჭლამაზაშვილი. ამხანაგო დეპუტატებო! გადავდივართ შემდეგ საკითხზე. საჭიროა მივიღოთ სესიის მუშაობის რეგლამენტი. ვის აქვს სიტყვა ამ საკითხის გარშემო?

გ. ე. ნარსია. გთხოვთ სიტყვას.

ი. დ. კოჭლამაზაშვილი. წინადადებისათვის სიტყვა ეკუთვნის დეპუტატ ნარსიას.

გ. ე. ნარსია. ამხანაგებო, წინადადება შემომაქვს მიღებული იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის მუშაობისათვის შემდეგი რეგლამენტი:

1. უმაღლესი საბჭოს სესიის სხდომები სწარმოებს დილის 11 საათიდან დღის 2 საათამდე და საღამოს 7 საათიდან 10 საათამდე.

2. უმაღლესი საბჭოს სესიის დღის წესრიგის საკითხებზე მომხსენებლებს ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა თვითეულ ჯგუფს, რიცხვით არაუმცირეს 25 კაცისა, უფლება აქვს წამოაყენოს თავისი თანამომხსენებელი.

4. მომხსენებლებს ეძლევათ მოხსენებისათვის ერთი საათი და საბოლოო სიტყვისათვის — 30 წუთი. თანამომხსენებლებს თანამოხსენებისათვის — 30 წუთი, საბოლოო სიტყვისათვის — 15 წუთი.

5. ორატორებს სიტყვისათვის ეძლევათ პირველად 20 წუთი და მეორედ — 5 წუთი.

6. პირადი განცხადებები და ფაქტიური ცნობები შეტანილ უნდა იქნას წერილობით და გამოცხადდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მიერ დაუყოვნებლივ ან სხდომის ბოლოს, მათი შინაარსის მიხედვით.

7. რიგგარეშე შეკითხვები შეტანილ უნდა იქნას წერილობით და დაუყოვნებლივ გამოქვეყნდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მიერ.

8. წესრიგის საკითხებზე სიტყვისათვის მიცემული იქნება 5 წუთი.

9. ხმის მიცემის მოტივებზე მიცემულ იქნება 3 წუთი.

ი. დ. კოჭლამაზაშვილი. როგორ გნებავთ, ცალცალკე განვიხილოთ მუხლები, თუ მთლიანად დავამტკიცოთ? (ადგილებიდან: მთლიანად დავამტკიცოთ). ხომ არ არის სხვა წინადადება? არა! მაშ რეგლამენტს მთლიანად ვუყრი კენჭს. ვინ არის აღნიშნული რეგლამენტის მომხრე? გთხოვთ ასწიოთ ხელი. დაუშვით. ვინ არის წინააღმდეგი? თავი ვინ შეიკავა? არავინ. რეგლამენტი მიღებულია ერთხმად.

საჭიროა სესიამ მიიღოს მუშაობის დღის წესრიგი. ვის აქვს წინადადება ამ საკითხის ირგვლივ?

კ. ნ. ჩარკვიანი: გთხოვთ სიტყვას.

ი. დ. კოჭლამაზაშვილი. სიტყვა ეკუთვნის დეპუტატ **კ. ნ. ჩარკვიანს.**

კ. ჩარკვიანი. ამხანაგებო! თბილისის, აჭარის, აფხაზეთის, ცაგერისა და ლაგოდეხის რაიონების დეპუტატთა ჯგუფმა დამავალა შემოვიტანო წინადადება საქართველოს უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის დღის წესრიგის შესახებ. დეპუტატთა ხსენებული ჯგუფის სახელით წინადადება შემომაქვს სესიის დღის წესრიგში შეტანილ იქნას შემდეგი საკითხები:

პირველი — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიის არჩევა.

ამ საკითხის დასმა გამომდინარეობს საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციის მე-37 მუხლიდან, რომელშიც ნათქვამია: „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ირჩევს სამანდატო კომისიას, რომელიც წარწმებს უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა უფლებამოსილებას. სამანდატო კომისიის წარდგენით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო სწყვეტს — ან იცნოს ცალკეულ დეპუტატთა უფლებამოსილება, ან გააუქმოს მათი არჩევა".

მეორე საკითხია — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების არჩევა.

ამ საკითხის დასმა მიზანშეწონილად მიგვაჩნია იმ მოსაზრებით, რომ მუდმივი კომისიები მოამზადებენ უმაღლეს საბჭოს სესიის სხდომისათვის საკითხებს, რომლებიც უმაღლესი საბჭოს კომპეტენციაში შედის: კანონპროექტებს, საბიუჯეტო საკითხებს და სხვ.

კერძოდ, ჩვენის აზრით, მიზანშეწონილი იქნებოდა სესიას აერჩია ორი მუდმივი კომისია:

ა) საკანონმდებლო განზრახულებათა კომისია და

ბ) საბიუჯეტო კომისია.

მესამე საკითხი — ცვლილებათა და დამატებათა შეტანა საქართველოს სსრ კონსტიტუციის ზოგიერთ მუხლში.

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს კონსტიტუციის მიღების დღიდან თითქმის წელიწადნახევარი გავიდა. ამ დროის განმავლობაში საბჭოთა კავშირის უმაღლესმა საბჭომ და სახალხო კომისართა საბჭომ, აგრეთვე საქართველოს სსრ ცაკმა და სახალხო კომისართა საბჭომ, მთელი რიგი ბრძანებულობანი და დადგენილებები მიიღეს ახალი სახალხო კომისარიატების შექმნის შესახებ, კონსტიტუციის ტექსტში ხმარებული ზოგიერთი ტერმინის შეცვლის შესახებ და სხვ. რამდენიმე ცვლილება შეიტანა ავრეთვე სსრკ უმაღლესი საბჭოს პირველმა სესიამ სსრკ კონსტიტუციაში. ეს ღონისძიებანი მიღებულ იქნა სახელმწიფოს მართვა-გამგებლობის მოთხოვნილებებთან დაკავშირებით და საჭიროა გამოხატულება ჰპოვონ მათ კონსტიტუციის სათანადო მუხლებში.

მეოთხე საკითხი — დეპუტატებისათვის სადეპუტატო მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებულ ხარჯების ანაზღაურების შესახებ.

მეხუთე საკითხი, რომლის დღის წესრიგში შეტანაც დეპუტატთა ჯგუფს საჭიროდ მიაჩნია, ეს არის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის არჩევა.

მეექვსე საკითხი — საქართველოს სსრ მთავრობის — საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს შექმნა.

მეხუთე და **მეექვსე** საკითხების დასმა უმაღლესი საბჭოს სესიაზე განსახილველად საქართველოს სსრ კონსტიტუციის მე-34 და მე-43 მუხლებიდან გამომდინარეობს.

ასეთია ის წინადადება სესიის დღის წესრიგის შესახებ, რომელიც დეპუტატთა ჩემს მიერ დასახელებულმა ჯგუფმა დამავალა შემოვიტანო უმაღლესი საბჭოს სესიაზე განსახილველად.

ი. დ. კოჭლამაზაშვილი. სურს თუ არა რომელიმე დეპუტატს გამოსთქვას ამის შესახებ თავისი აზრი ან შემოიტანოს სხვა წინადადება?

(ხმები ადგილიდან: არა. დამტკიცდეს შემოსული წინადადება.)

ი. დ. კოჭლამაზაშვილი. სხვა წინადადება არ არის. მაშ, ვუყრი კენჭს. ვინ არის მომხრე, რომ დამტკიცდეს დეპუტატ ჩარკვიანის მიერ შემოტანილი წინადადება სესიის დღის წესრიგის შესახებ?

გთხოვთ ასწიოთ ხელი. გთხოვთ დაუშვათ. ხომ არავინ არის წინააღმდეგი? არა. თავი ვინ შეიკავა? არავინ. სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის დღის წესრიგი მიღებულია ერთხმად.

მ. ი. ბარამია: გთხოვთ სიტყვას.

ი. დ. კოჭლამაზაშვილი. სიტყვა ეკუთვნის დეპუტატ ბარამიას.

მ. ი. ბარამია — ამხანაგო დეპუტატებო! წინადადება შემომაქვს საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ მისალმება გაუგზავნოს დიდ სტალინს, მას, ვინც თავისი ბრძნული ხელმძღვანელობით უზრუნველჰყო სოციალიზმის გამარჯვება სსრ კავშირში, ვინც გამოსჭედა ხალხთა თავისუფლება და ბედნიერება, ვინც შექმნა მსოფლიოში ყველაზე უფრო დემოკრატიული კონსტიტუცია, რომლის საფუძველზედაც ქართველმა ხალხმა, ისე როგორც თვალუწვდენი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხმა, აირჩია თავისი პირველი უმაღლესი საბჭო. **(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან, შეძახილები: „ურა", „ვაშა", „გაუმარჯოს დიდ სტალინს!")**

დეპუტატი მ. ი. **ბარამია** კითხულობს ამხანაგ სტალინისადმი მისალმების შემდეგ ტექსტს:

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

ამხანაგ ს ტ ა ლ ი ნ ს!

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო მგზნებარე, ბოლშევიკურ სალამს გიგზავნით თქვენ, მთელი მსოფლიოს მშრომელთა და ჩაგრულთა დიდ ბელადს, სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს, ქართველი ხალხის პირველ დეპუტატს.

ქართველმა ხალხმა, რომელსაც წარსულში გამანადგურებელი შემოსევებით აოხრებდნენ მონღოლი, სპარსი და თურქი დამპყრობელები, ხალხმა, რომელიც დამონებული იყო მეფის თვითმპყრობელობის მიერ და რომელსაც შეუბრალებლად უწევდნენ ექსპლოატაციას თავადები, მემამულეები, კულაკები და ვაჭრები, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, ლენინ-სტალინის ნაციონალური პოლიტიკის განხორციელების პირობებში მოიპოვა ნამდვილი თავისუფლება და გამოვიდა სამეურნეო და კულტურული გაფურჩქვნის ფართო გზაზე.

დიადმა სტალინურმა კონსტიტუციამ სამუდამოდ განამტკიცა ხალხთა თავისუფლება, მოახდინა ფიქსაცია მათი ხელშეუვალი უფლებებისა — თვითონ გადასწყვიტონ თავისი ბედი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებმა მთელს მსოფლიოს დაანახვა სსრ კავშირის თავისუფალი და ბედნიერი ხალხების ურღვევი მთლიანობა და დარაზმულობა ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო, მათი შეურყეველი ნებისყოფა — განახორციელონ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობისათვის კენჭისყრაზე თქვენი თანხმობით აღფრთოვანებულმა ქართველმა ხალხმა, თავისი კონსტიტუციის საფუძველზე, რომელიც აგებულია სტალინური კონსტიტუციის დიად პრინციპებზე, უდიდესი აღფრთოვანებითა და ენტუზიაზმით ჩაატარა სახელმწიფო ხელისუფლების თავისი უმაღლესი ორგანოს — უმაღლესი საბჭოს არჩევნები და ერთხელ კიდევ ნათლად ცხადჰყო თავისი დარაზმულობა ბოლშევიკების პარტიის გარშემო, ერთგულება სსრ კავშირის ხალხთა სტალინური მეგობრობისადმი და უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება თქვენდამი, ჩვენო მშობლიურო ბელადო და მასწავლებელო!

ქართველი ხალხი უსაზღვროდ ბედნიერია იმითი, რომ თქვენ, ამხანაგო სტალინ, თავის პირველ რჩეულად ჰყევხართ საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში.

მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნებში კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის ბრწყინვალე გამარჯვებას ქართველ ხალხთან ერთად ზეიმობენ ჩვენი თვალუწვდენელი საბჭოთა კავშირის ყველა მოძმე ხალხები, რომელნიც გაერთიანებული არიან ურღვევი სტალინური მეგობრობით. ყველა ამ ხალხმა კარგად იცის, რომ თავის თავისუფლებას, თავის ბედნიერებას უნდა გიმადლოდეთ თქვენ, სოციალიზმის ქვეყნის ბრძენ მესაჭეს. ყველა ეს ხალხი ერთხმაირად მიისწრაფოდა, რათა ჰღირსებოდა უდიდესი პატივი — თქვენ ჰყოლოდით პირველ რჩეულად თავის უმაღლეს საბჭოში.

თქვენი გენიალური წინამძღოლობით დღითი-დღე ძლიერდება ჩვენი სამშობლო, ძლიერდება საბჭოთა ხალხის მორალური და პოლიტიკური ერთიანობა, სწრაფად ვითარდება სოციალისტური ეკონომიკა და კულტურა, მაღლდება მშრომელთა მატერიალურ-კულტურული დონე.

ლპობის პროცესში მყოფი კაპიტალიზმის სამყაროში კი დღითი-დღე სულ უფროდაუფრო ირყევა ეკონომიური და პოლიტიკური

საყრდენები, — ღრმავდება ეკონომიკისა და კულტურის კრიზისი, ძლიერდება ხალხის უფართოესი მასების გაღატაკება.

სოციალიზმის ქვეყნის დაუძინებელი მტრები — ბურჟუაზიულ-ფაშისტური სახელმწიფოები და მათი ტროცკისტ-ბუხარინელი და სხვა აგენტები ვერ ურიგდებიან ჩვენს თავისუფლებას, ჩვენს ბედნიერებას. მათ განზრახული ჰქონდათ მავნებლობის, ჯაშუშობისა და დივერსიის საშუალებით ჩაეშალათ ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში. მაგრამ საზიზღარი მტრები ანგარიშში მოსტყუვდნენ.

თქვენი, ამხანაგო სტალინ, ბრძნული ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა გააცამტვერა მტრის ძირითადი ბუდეები და აღგავა ისინი პირისაგან ჩვენი სამშობლოს მიწისა.

ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი გარეშე მტრები გაძლიერებულად ამზადებენ დანაშაულებრივ ომს საბჭოების ქვეყნის წინააღმდეგ, რომ ისინი ისევ და ისევ ცდილობენ შემოგზავნონ ჩვენში თავისი აგენტები, ჯაშუშები და დივერსანტები.

ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი ქვეყნის შიგნით ჯერჯერობით კიდევ დარჩნენ გაცამტვერებული ტროცკისტულ-ბუხარინული და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ბანდის ნაბოლარები.

მაგრამ ვერასოდეს და ვერავინ ვერ შესძლებს წაართვას სსრ კავშირის ხალხებს თავისუფლება და ბედნიერება!

შეიარაღებულნი თქვენი ბრძნული მითითებებით რევოლუციური სიფხიზლის გაძლიერებისა და სამხედრო თავდასხმის საშიშროების წინაშე ხალხის მობილიზაციური მზადყოფნის საჭიროების შესახებ, სსრ კავშირის ხალხები გამოამჟღავნებენ და საბოლოოდ მოსპობენ პარტიისა და ხალხის განადგურებული მტრების ნაშთებს, გამანადგურებელ ლახვარს ჩასცემენ ყოველ მტერს, რომელიც გაბედავს ხელჰყოს სოციალიზმის დიადი ქვეყნის წმინდათაწმინდა საზღვრებს.

ქართველი ხალხი იქნება სამშობლოს დაცვისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში მისი თვალუწვდენელი საზღვრების ყოველ უბანზე.

შეიკრიბა რა თავის პირველ სესიაზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო — საქართველოს მზრუნველის ბატონ-პატრონი, სიტყვას გაძლევთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ ის დიადი სტალინური კონსტიტუციის მოთხოვნებთან სრული შეფარდებით ჩაატარებს თავის მუშაობას.

ჩვენ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს, გვახსოვს და არასოდეს არ დაგვავიწყდება თქვენი ბრძნული მითითება

იმის შესახებ, რომ დეპუტატი ხალხის მსახურია, მისი წარგზავნილია უმაღლეს საბჭოში და ვალდებულია განუხრელად შეასრულოს ხალხის ნება-სურვილი.

მთელს ჩვენს ძალასა და ცოდნას მოვახმარებთ იმას, რომ ჩვენ, როგორც ხალხის დეპუტატები, თქვენი მითითებების თანახმად, მუდამ ჩვენი ამოცანების სიმაღლეზე ვიდგეთ და ლენინ-სტალინის ტიპის პოლიტიკური მოღვაწეები ვიყვნეთ.

გამოჰხატავს რა ქართველი ხალხის ნება-სურვილს, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბოლშევიკურ სიტყვას გაძლევთ თქვენ, ამხანაგო სტალინ, რომ იგი განუხრელად განახორციელებს რა სტალინური კონსტიტუციის დიად პრინციპებს, დაიცავს და კვლავაც განამტკიცებს ხალხთა სტალინურ მეგობრობას, უფრო მჭიდროდ დარაზმავს მასებს ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო, კიდევ უფრო მაღლა ასწევს ლენინ-სტალინის დიად უძლეველ დროშას და კომუნიზმის ახალი გამარჯვებებისაკენ წაიყვანს ქართველ ხალხს.

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის პარტიას!

გაუმარჯოს სტალინურ კონსტიტუციას! !

გაუმარჯოს სსრ კავშირის ხალხთა სტალინურ მეგობრობას!

გაუმარჯოს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს!

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურს, დიდ სტალინს!

(მთელი დარბაზის ხანგრძლივი ოვაციები. შეძახილები: „გაუმარჯოს ჩვენ დიდ სტალინს!“, „გაუმარჯოს ჩვენი ბედნიერი და საამური ცხოვრების შემომქმედს საყვარელ სტალინს! ვაშა!“).

ი. დ. კოჭლამაზაშვილი. ამხანაგებო, ნება მიბოძეთ თქვენი მხურვალე ოვაცია ბელადისადმი მისალმების ტექსტის ერთსულოვან მოწონებად ჩავთვალო.

გადავდივართ, ამხანაგებო, სესიის დღის წესრიგის პირველი საკითხის, პირველი პუნქტის განხილვაზე — სამანდატო კომისიის არჩევაზე. აქვს თუ არა რომელიმე დეპუტატს წინადადება ამ საკითხის შესახებ?

დ. ლ. ჟორჟოლიანი: გთხოვთ სიტყვას.

ი. დ. კოჭლამაზაშვილი: ინებეთ.

დ. ლ. ჟორჟოლიანი: ჭიათურის, ახალქალაქის, ბორჩალოსა და დუშეთის რაიონის დეპუტატთა ჯგუფის სახელით წინადადება შემომაქვს ავირჩიოთ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისია 9 კაცის შემადგენლობით.

ი. დ. კოჭლამაზაშვილი. დეპუტატ ჟორჟოლიანს შემოაქვს წინადადება არჩეულ იქნას სამანდატო კომისია 9 კაცის შემადგენ-

ლობით. არის თუ არა სხვა წინადადებანი? არა. მე კენჭს ვუყრი. ვინ არის მომხრე, რომ მიღებულ იქნას ეს წინადადება? ვინ არის წინააღმდეგი? თავი ვინ შეიკავა? არავინ. სამანდატო კომისიის შემადგენლობა ცხრა კაცის რაოდენობით მიღებულია.

ი. დ. კოჭლამაზაშვილი. ვის აქვს წინადადება სამანდატო კომისიის პერსონალური შემადგენლობის შესახებ.

დ. ლ. ჟორჟოლიანი. დეპუტატთა იმავე ჯგუფის სახელით წინადადება შემომაქვს ავირჩიოთ სამანდატო კომისიის თავმჯდომარედ დეპუტატი **მ. ი. ჯაში.**

ი. დ. კოჭლამაზაშვილი. არის თუ არა სხვა წინადადება? არა. კენჭს ვუყრი. ვინ არის მომხრე, რომ დეპუტატი ჯაში არჩეულ იქნას სამანდატო კომისიის თავმჯდომარედ? გთხოვთ ასწიოთ ხელი. გთხოვთ დაუშვათ. ვინ არის წინააღმდეგი? თავი ვინ შეიკავა? არავინ.

დეპუტატი ჯაში ერთხმად არის არჩეული სამანდატო კომისიის თავმჯდომარედ.

დ. ლ. ჟორჟოლიანი. წინადადება შემომაქვს ავირჩიოთ სამანდატო კომისიის შემადგენლობაში შემდეგი ამხანაგები:

ს. ნ. სანაკოევი,

მ. ე. ფალავა,

გ. ნ. საჯაია,

ც. ა. ქარდავა,

ა. ი. ჯანელიძე,

ნ. ს. აგაშენაშვილი,

კ. პ. აბალაკი,

გუმბათ ნასიბ ოღლი გუმბათოვი.

ი. დ. კოჭლამაზაშვილი. კიდევ რა წინადადებები გაქვთ? **(ადგილებიდან:** ვუყაროთ კენჭი). კენჭი ვუყაროთ თვითეულს ცალცალკე თუ მთლიანად? **(ხმები ადგილებიდან:** კენჭი ვუყაროთ მთლიანად).

ვინ არის მომხრე სამანდატო კომისიის წევრთა დასახელებული სიისა? გთხოვთ ასწიოთ ხელი. გთხოვთ დაუშვათ. ვინ არის წინააღმდეგი? თავი ვინ შეიკავა? არავინ. სამანდატო კომისიის შემადგენლობა მიღებულია ერთხმად.

ა. თ. კვაჭაძე: გთხოვთ სიტყვას.

ი. დ. კოჭლამაზაშვილი: სიტყვა ეკუთვნის დეპუტატ კვაჭაძეს.

ა. თ. კვაჭაძე: წინადადება შემომაქვს საქართველოს უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის პირველი სხდომა ამით დამთავრდეს.

ი. დ. კოჭლამაზაშვილი: დეპუტატმა ა. თ. კვაჭაძემ წინადადება შემოიტანა უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის პირველი სხდომა ამით დავამთავროთ. არის თუ არა სხვა წინადადება?

ხმები ადგილებიდან: არ არის.

ი. დ. კოჭლამაზაშვილი: კენჭს ვუყრი ვინ არის მომხრე, რომ დეპუტატ კვაჭაძის წინადადება მიღებულ იქნას? გთხოვთ ხელი ასწიოთ. დაუშვით. ვინ არის წინააღმდეგი? არავინ.

ამრიგად საბჭოს პირველი სესიის პირველ სხდომას დახურულად ვაცხადებ. მეორე სხდომა გაიხსნება მიღებული რეგლამენტის თანახმად ხვალ, დილის 11 საათზე.

(სხდომა დაიხურა სალ. 8 საათ. 25 წუთზე).

პ/მგ. გამოშვებისათვის გ. სირაძე
კორექტორი გ. იაშვილი
მთავლიტის რწმ. № 2742
შეკვ. № 1094. ტირაჟი 300
სახელგამის სტამბა. ორჯონიკიძის ქ. № 50.

Заседание первое

(8 июля 1938 г., вечернее)

В 7 часов 15 минут в зал входят члены Президиума Центрального Исполнительного Комитета и члены Совета Народных Комиссаров Грузинской ССР. (В зале раздаются аплодисменты).

М. И. Джаши. Товарищи депутаты! Вношу предложение открытие первой Сессии Верховного Совета Грузинской ССР поручить старейшему из депутатов товарищу **Ф. Е. Махарадзе. (Продолжительные аплодисменты).**

Ф. Е. Махарадзе. Товарищи депутаты Верховного Совета Грузинской Советской Социалистической Республики!

12 июня 1938 года войдет в многовековую историю Грузии, как величайший всенародный праздник. В этот день грузинский и все народы, населяющие Грузию, на основе самой демократической в мире Сталинской Конституции избрали Верховный Совет Грузинской Советской Социалистической Республики.

Политика партии **Ленина—Сталина,** мудрое руководство великого **Сталина** обеспечили новую блестящую победу: в выборах Верховного Совета Грузии приняло участие почти сто процентов избирателей, единодушно отдавших свои голоса за кандидатов сталинского блока коммунистов и беспартийных.

